ქალებმა ფეხ-აჩქარებით გასწიეს საავათმყოფოსკენ. შევიდენ ოთახში. დაინახა ელენემ ლიზა, რომელსაც თვალები კარებისკენ ჰქონდა მოჩერებული და ვიღაცას ელოდებოდა. ელენე მიპვირდა ლიზას, მოეხვია და ჩაეკითხა.—ლიზიკო! გენაცვალოს ჩემი თავი, როგორ ხარ, კუჭი! ნუ გეშინიან გენაცვალოს ელენე.

— ეხლა აღარ მეშინიან, ელიკო, წყნარის ხმით უბასუხა ლიზამ—მე ეხლა აღარა მიშაეს-რა, რაკი შენა გნახე. ელენემ მადლობა გადუხადა სონას, რომელიც თვალ ცრემლიანი უყურებდა ელენეს და ლიზას ერთმანეთის ალერს. ელენე მოუჯდა ლიზას გვერდით და ერთ წუთსაც აღარ მოჰშორებდა. ლიზას ჭრილობა გულში ჰქონდა, ტყვია მოჰშვედროდა შარჯვენა გულის ფიცარში და უკან გავარდნილიყო. მოვლა მუყაით ესაჭიროებოდა და ამ მუყაით მოვლის მოკლებული, საშინელ სისუსტეს ჰქონდნოდა. ელენემ იხმარა უკველიველონე, რომ ეშველა თავის ერთგულ პატრონ მეგობრის-თვის. ხანი გადიოდა. ელენეს ამაგი არ ეკარგებოდა.



ლიზა თან და თან უკეთ შეიქნა. მაგრამ ელენე მასტუკერია
ბედავდა ლიზას მოუშორებოდა, თუმც კი შეიტყო, რომ
ლიზას მშობლებთან დეპეშა გაეგზავნათ და დარწმუნებულიც
იყო, რომ ისინი მოეშველებოდენ შეილს. ივანემ გვიან მიი-
ღო დეპეშა და მიიღო თუ არა მაშინათვე, მარიამთან ერთათ,
გამოეშურა ლიზასკენ, მაგრამ გზაშიაც ადგილის უშოვნელობის
გამო, კარგათ მოუგვიანდათ. მშობლებმა თავისი საყვარელი
შეილი გზაშივე გამოიტირეს. ერთ საღამოზე, როდესაც ლი-
ზა ლოგინში წამომჯდარი შეექცეოდა ელენესგან საგანგებოთ
მომზადებულს საჭმელს, გაიღო კარი და საავათმყოფოში შე-
მოვიდენ თვალ-ცრემლიანი ივანე და მარიამი. მშობლებმა უკ-
ვე იცოდენ, რომ ლიზა გამობრუნდა და უკეთ იყო, მაგრამ
იმას კი რა მოაფიქრებდათ, რომ იმათ საყვარელ — შეილთან
ნახავდენ ელენეს, რომელიც ფარვანასავით ევლებოდა ლიზას
თავს. მარიამში პირველში მოჰკრა თვალი ლიზას და მის გვერდ-
ზე მჯდომიარე ელენეს და გაექანა იმათვენ, მივარდა ლი-
ზას, გადაეხვია და გადუკუცნა ყოველივე ასო. ივანე აიტაცა
სიხარულმა და კანკალით ეკითხებოდა ლიზას: როგორ ხარ,
შეილო, გენაცვალოს მამილო? — ეხლა უკეთა ვარ მამავ, მიუ-
გო ჯერ ისევ სუსტის ხმით ლიზამ, თავის მამის. — ეს ჩემი სი-
ცოცხლე გამოპელივა სიკვდილს ელენემ თავისი გარჯით
და უთვალავი ცრემლის დენით. ამ სიტყვებით ლიზა გადაეხ-
ვია თავის კუჭილოს.

ივანე და მარიამიც გადაეხვივენ აქეთ იქიდან ელენეს,
დაპოუნდნეს და დიდი მაღლობა გადუხადეს. ლიზამ და ელე-
ნემ უამბეს ივანეს და მარიამს თავ-თავისი თავ-გადასავალი,
ლიზამ ის—თუ როგორ დაიჭრა ომში შეტაკების დროს და
ელენემ ის, როგორ იპოვნა ლიზა პეტროგრადის საავათმყო-
ფოში დიდის ძებნის შემდეგ. — ეხლა კი მჯერაო, თქვა თვალ-
ცრემლიანმა ივანემ, რომ სიკეთე ცივ ქვაზე, რომ დაზდო,
გაივლი და წინ დაგხვდებაო. კარგა ხანს დარჩნენ ივანე და
მარიამი პეტროგრადში.

ლიზა სრულებით განიკურნა. ბევრი ეხვეწენ დედ-მამა
დაბრუნებულიყო სამშობლოში, მაგრამ ვერ დაიყოლეს. ერთ-
შეერთ ერ დღეს ლიზა გამოეთხოვა მშობლებს და თავის გუ-

ლის ნაქერს ელიკოს და გასწია თავის საქმეზე... ელენეც
დაუბრუნდა თავის საქმეს... ივანე და მარიამიც დაბრუნდენ
გულ დაწყვეტილნი სახლში. სოფიო დავიდოვნას უმბეს ლი-
ზას თავგადასავალი დაწვრილებით და ელენეს თავის დადება
სიყმაწვილის დობილისთვის. მას ესიამოვნა, რომ იმისმა შრომაშ
ნაყოფი გამოიღო და უფრო ხალისით შეუდგა თავის საქმეს—
სოფლის საკეთილ დღეოთ.

გ. დ. ჭრელაშვილი.



ცხვრის თავა გეღანია.

(დასასრული).

V III



აეძინა ტკბილათ მოხუცს,
თვის ძმნძებში გახვეულსა,
მოქანულსა მგზავრობითა,
მსპინძლობით მოხიბლულსა...
ძილის დროსა პირს გადიძრო,
და დაეტყო ზედ ღიმიღი...
თითქო ვიღაც დაინახა,
საგანგებოთ მოვლენილი...
და დაიწყო საუბარი:
„ოხვრა, ტანჯვა და წვალება...
სნეულება და შიმშილი,
არ ისპობა... მუდამ არი...
დიდხანს ქვეყნათ ვიმოგზავრე,
მოვიარე მთა და ბარი...
ბევრი ვნახე გაჭირვება,
სიკვდილი და შიშის ზარი,
მაგრამ მაინც ვერსად ვნახე
ხორც შესხმული სათნოება...
ვსოდი, თუ ღმერთმა მომიძულა—
დაილოცოს მისი ნება.
ბოლოს აქა, ულრანს ტყეში,
ვპოვე წმინდა სიყვარული.
იგი არის მელანიას
კეთილს გულში ფესვ — გადგმული.
და მას ქოხში ღარიბისა
ტაძარი აქვს აგებული;
აქვე მოპფენს თავის შუქსა
და აქვეა ხორც შესხმული!..

ამ დროს მამალმა იყივლა;
გაეღვიძა მოხუცებულს...
შეხედა გან მელანიას
ფეხზე მდგომს და გაშტერებულს.
და სტუმარმაც გაკვირვებით
მიაშტერა იმას თვალი.
— „ეს რა უსამართლობაა,
სადაური სამართალი,
მე მემინოს და შენ მთელი
ლამე იყო უძილარი?!.
ისევე ხარ, ვით დაგტოვე —
ვახშმის შემდეგ ფეხზედ მდგარი
— ნუ სწუხ ამას, ღვთის სტუმარო,
არ მინდოდა დაძინება.
ზეზე ყოფნა, ზეზე შრომა
იყო სრული ჩემი ნება.
გატყობ, რომ ხარ უფლის კაცი,
ღვთაებისგან კურთხეული,
მამცნე რამე ცხოვრებისა,
არ დამტოვო მე ეუჩირი.
ერთი ვინშე ლარიბი ვარ,
გლეხის შვილი, გლეხის ცოლი...
დავრჩი ქვრივი, გარდიცვალა
ვინც კი იყო ჩემი ტოლი...
დამეხოცენ მე შვილები;
ვარ ყოვლის მხრით უნუგეშო,
არვინ არის გამკითხავი
ჩემი მთელსა ცისა ქვეშო...
ქირსა შიგან გამაგრებას
ბავშობიდან ვარ ჩვეული...
ქმრის და შვილთა სიკვდილითა
არ გამიტყდა მაინც გული...
უცხო შვილებს გაუწევდი
შვილთ მაგიერ მე დედობას,
თვალებზე ცრემლს შეუშრობდი,
არ ვაკლებდი მზრუნველობას...“

ჩემთვის ყველა ერთი არის,
 შინაური, გარეული, —
 ყველასათვის ჩემი ქოხის
 მაქვს მე კარი გაღებული...
 მე არ ვუწყი მოყვრის მტრობა
 და არც ვიცი, რა არს შეური...
 არასოდეს დამიკლია
 გლახაკთათვის სამსახური.
 მწუხარებას მე არ ვიცნობ,
 მხიარულიათ მიცემს გული...
 მას ვჯერდები, რაც უფლისგან
 ხეედრი შემხვდა ბოძებული...
 დღე მუდამა მუშაობის
 ხალისით ვარ მონატრული...
 და ძალასაც საარაკოს
 მაძლევს ღმერთი კურთხეული...
 რასაც ვშოვობ, ვაძლევ სხვებსა,
 ბედისაგან დაჩაგრულებს...
 ყოვლთვის იგრძნობს სიმესა,
 ვინც იმ მცნებას აღასრულებს.
 — ვიცი, ქალო მელანია,
 რომ ხარ მეტათ გულ კეთილი,
 ხორც შესხმულის სიყვარულის
 მანათობლით მოფენილი!..
 და თუ სოფლათ შენის კვალით
 ივლის კაცი თვითეული,
 ის იქნება ბედნიერი
 და ღვთისაგან კურთხეული.
 ახლა მარქვი, მელანია,
 რაც რომ გულით გენატრება.
 შევთხოვ უფალს იმას შენთვის:
 უსათუოდ აღსრულდება.
 — ჰოი... რა ვქნა. მეზიზლება
 დაწყევლილი ის სიკვდილი...
 არ მსურს იგი არსებობდეს:
 თან სდევს გლოვა და ტირილი.

მსურს სიკვდილი ქოხის კართან
ძირს დაეცეს და გაშეშდეს...
— მას სტუმარშა უპასუხა:
— რაც ითხოვე, იგი ახდეს...
ეს რა სთქვა და ის სტუმარი
გახდა მსწრაფლათ უჩინარი ..
გაუკვირდა მელანიას,
გადიწერა მან პირჯვარი.

IX

რა გაიხედა მელანამ კარში,
კიდეც გამოჩნდა შავი სიკვდილი...
გამხმარ ხელებში ეჭირა ცელი,
საბედისწეროთ გამოშეერილი..,
მოდის ნელ ნელა პირდაღებული,
ქოხსა თან და თან უახლოვდება,
აქნევს გამხმარს თავს კბილების ღრუქნით,
თავის სალუქმო იქ ეგულება.
— აბა, მაჩევნეთ — ამბობს ბოხის ხმით —
შენი ჩიტები, შენი გვრიტები,
გამომეგებნენ კეთილის მყოფელს,
მსურს დავურიგო მათ საჩუქრები.
მალე წარვიყვან მუხთალ სოფლიდან
მსურს ვაჩევნო მათ სავანე ღვთისა
წიალთა შინა აბრაამისა,
ისაკისა და იაკობისა...
მელანიამ კი მის საპასუხოთ
ერთი შეჲვირა მაღალის ხმითა:
— გაწყდეს, სიკვდილო, შენი სახელი...
ღვთისა ბრძანებით და მის რისხვითა...
გახმი, გაშეშდი შენ ერთს ოდგილზე,
გაქვავდი, გაქრეს შენი სახელი,
რომ თავისუფლათ კაცმა ისუნთქოს
და ოლარ იყოს ცრემლისა მღვრელი.
სადაცა იდგა, იქვე დაეცა,
იქვე გაქვავდა შავი სიკვდილი...
მელანამ ფიჩი ზედ დააყარა,
მის ქვეშ დამალა შწარედ დასჯილი.

X

ისმოდა კვალიად საშინელი ვაება — ტირილი;
 ფეხი გაიღგა ბოროტებამ, გაქვავდა გული:
 ძლიერი სჩაგრავს ღონით სუსტსა და დღეს უმწარებს, —
 და სუსტიც სტირის, გაქნის დღეს სწყველის ბედკრული.
 მელანას კარზე ღარიბ-ღატაკთ მრავალი რიცხვი
 ყოველი მხრიდამ დღე მუდამა იკრიბებოდა;
 დრო გადიდა, და ამ რიცხვსა ფრიად საგრძნობი
 ახალი რიცხვი ღარიბების ემატებოდა.
 მელანიასა აღარ ძალუბს იმათი შველა;
 აღარა ყოფნის არცა პური, არც შექამადი...
 დაღონებული იარება კეთილი ქალი,
 ძლიერ აწუხებს იმის გულსა ღარიბთ მყობადი...
 იმის თვალთა წინ მალალის ხშით სიკვდილს უძახის,
 და წრფელი გულით მოუწოდებს თითქმის ყოველი:
 „სიკვდილო, სად ხარ? სად ხარ, ჩენო დედავ, სიკვდილო?!
 სად გადიკარგე? რათ დასტოვე წუთისოფელი?
 მოდი, სიკვდილო, დაგვიფარე მტარვალებისგან,
 მოუსვი იმათ უმოწყალოთ ეგ შენი ცელი...
 თავს გაუვიდათ მტარვალთ, არეის აღარ ეშინისთ...
 ტყავსა გვაძრობენ და გავვხადეს შეუწევნელი.
 მოდი, სიკვდილო, ჩენო მხსნელო, გემუდარებით,
 მოუსვი იმათ გამეტებით ეგ ბასრი ცელი
 ასი წელია, აღარავინ აღარ მომკვდარა;
 ხალხი გაირყენა, და დაჰკარგა ღვთისა სახება.
 ჩენო ცა მოხუცუდით, მოუძლურდით, გვწყურის სიკვდილი,
 სიცოცხლე არ გვსურს და მეტ ბარგათ ის გვეჩვენება,
 მოსპე სიცოცხლე მტარვალების და ღრმა მოხუცთა
 და მით გასწინდე, განაახლე წუთისოფელი!..
 ჩენო მელანა ჩაგარდა დიდს საგონებელში,
 — მე კი გავახმე ქოხის კართან შავი სიკვდილი...
 იმას ნატრულობს დღეს მრავალი ბედით ჩაგრული,
 მტარვლისთვის მართლაც ის ყოფილი ზედ გამოჭრილი.
 ღვთისა საქმეში ჩავერიე მე ცოდვის შვილი...
 რა მრჯიდა ამას?! ახლა ვატყობ, ვიყავ სულელი...
 აღსდეგ, სიკვდილო, და ბოროტის აღმოსაფხვრელათ,
 ვით ძველსა დროში, წარიმდვარე წინ ბასრი ცელი.

XI

მელანამ ფიჩხი შორს გადაყარა
და გააციცხლა ისევ სიკვდილი...
ცივსა სახეზე ერთი წუთითა
გამოაჩნდა მას სუსტი ღიმილი,
მაგრამ ეწყინა, როცა შეხედა,—
რომ იმას ცელი დაეანგებოდა...
აგურის ფხვნილით უნდგა აკლიდა
და თანაც შეტათ ილანძლებოდა...
როცა გალესა თავისი ცელი,
მის სილაპლაპეს დიდ ხანს შეტრფოდა...
შელანიასკენ გულის სიბრაზით
გააფთრებული იცქირებოდა...
შემდევ გასწიო ყანის სამკელათ...
მუსრისა ავლებდა სოფლიდამ სოფელს...
კვლავათ გაჩაღდა გლოვა — ტირილი
და შიშის ზარი დაეცა ყოველს!..
კუბოს მეტებლებს მიეცათ საქმე,
კვლავ გაძლიერდა მათი ხელობა;
აქ პანაშვიდი, იქ წესის აგება,
აქ ზიარება, იქ ქელებობა.
ლარიბნი, მეტად მოხუცებულნი,
სიკვდილს სიამით ეგებებოდენ:
ითხრიდენ საფლავს თავისი ხელით,
კუბოს წინდაწინ განიშადებდენ...
მხოლოდ მდიდრებსა სძულდათ სიკვდილი
ფუფუნებასა მუდამ ჩვეულებს...
გაფაციცებით მკურნალთ ეძებდენ,
ხანგრძლივ სიცოცხლის სთხოვდენ მათ წამლებს.
გაამდიდრეს მათ აფთიაქები,
მილიონებსა წყლებზე ხარჯავდენ,
მაგრამ თვის ჯანის მომატებასა
საგულ და გულოს ვერა ხედავდენ...
ესრედ სიკვდილი თვის ბასრი ცელით
მუსრისა ავლებდა სოფლიდამ სოფელს...
XII

ყველა იმსხვერპლა ცოტა ხანში შავმა სიკვდილმა,



ვინცა მის კლანჭება ას წელშია გადარჩენოდა;
არ დაინდო მან ზურაბიცა და ნატალია,
და მელანასაც ყოველს წუთში ემუქრებოდა.
მაგრამ სიკვდილი ვერ ბედავდა იმასთან მისვლას,
და ძველებურათ ის იღვწიოდა და მუშაობდა...
მელანა ისევ ცოცხალია, გულმხიარული,
და ისევ ცხოვრობს, როგორც წინათ იგი ცხოვრობდა...
დროთა მსვლელობა თავის დაღსა ვერ ამჩნევდა მას,—
დაუმორჩილა თავისს ნებას უამთა ტრიალი...
ვერ აშინებდა ვერაფერი მის მტკიცე გულსა,—
და უკვდავების შუქს უკერდა კეთილი ქალი.
ყველანი მოკვდენ, ვინც უძახდენ მას მელანის;
არც თვით ახსოვდა, დაავიწყდა თავის სახელი
და რა ჰყითხავდა მას სიკვდილი: „რა გჰქვიან შენა?!..
ვერას ეტყოდა... შორდებოდა სიკვდილი ბნელი.
შემდეგ სიკვდილმა აქეთ იქით დაიწყო კითხვა,
თუ იმ მოხუცს ქალს რა სახელი ეწოდებოდა...
მაგრამ არავის ახსოვდა იმის სახელი,
და სიკვდილიცა ჯავრდებოდა და ხელდებოდა.
ერთხელ იმის წინ საგანგებოთ დაეცა ცილაშ
გულის მსგავსი ქვა თოვლივითა თეთრი და წმინდა...
და აღმოკვეთილ ასოებით მასზე ეწერა:
— „სიკვდილი! ერთი სახელისა შეტყობა ვინდა...
და ეს იყოდე, რომ სახელი იმ მოხუც ქალის
იყო, არის და იქნება კვლავ სიყვარული!..“
წაიკითხა რა ეს სიკვდილმა, ის მელანის
დარბაისლურათ ეტყოდა ორმათ ჩაფიქრებული:
— შენ ჩემი არ ხარ! ჩემს ნუსხაში არა სწერიხარ.
სცან, სიკვარული ქვეყანაზე არის უკვდავი...
მანამ იციცხლებ, სანამ სოფლიათ არ დამარცხდება
და არ გაქრება სიკეთეს წინ ყოველი ავი,
სანამ სიმართლე არ შეხვდება ქეშმარიტებას
და სანამ ერთად არ იცხოვრებს კრავი და მველი,
და გამეფებულ სათნოებას არ მიეძღვნების
ქებათა ქებით ტკბილ ხმოვანი საგალობელი.

ილ. ფერაძე.

¹⁾ ეს ზღაპრული პოემა დამყარებულია ქართულ ზღაპრებზე, ამისი
სახური ზღაპრი რუსულთაც არის (იხ. ლესკოვის თხზულებანი).

ფინიას გმირობა.

(ჭავაშის ნაშმბადა).



ედნიერი ხართ ოქვენ, ვინც ქართლ-ქახეთში ცხოვრობთ, რა გიშავთ, ზამთარი თქვენში ძალიან მოკლეა, წელიწადის უდიდეს დროს ზაფხული გიდგათ და სტკბებით ბუნების სიმშვენიერით, სიუხვით, სიღიადით... ბალ-ვენახებში სხვა და სხვა ხილეულობით პირს იტკბანურებთ, ათასნაარი ფრინველთა პიყჟი-გალობით ერთობით, ბოსტნეულ-მწვანილეულობით გემრიელ შეკამადებს აზავებთ და მადიანათ შეექცევით... ერთი სიტყვით, ამ მხრივ თქვენ ჩვენზე ბელნიერი ხართ. თუ სილარიბეზე იტყვით რამეს, გულახდით მოგახსენებთ, რომ ჩვენც თქვენთან ერთად ვიწვით იმავ სილარიბის ტაფაში.

ჯავახეთს მაღლობი მთიანი ადგილი უკირავს და ამიტო-მაც ჩვენში მკაცრი ზამთარი იცის. ჯერ კიდევ ოქტომბრის ნახევარში გვეწვევა ხოლმე თეთრწვერა თოვლი-პაპაი, ნოემბრიდან უკვე დადგება, აღარ დნება, და აპრილში ძლივას მოვესწორებით ამ არასასურველ სტუმრის მოშორებას. ასეთ ხანგრძლივი ზამთრისა გამო ჩვენში ბალ-ბოსტანი ვერა ხარობს და მხოლოდ პურსა ვთესავთ. ჯავახეთში არც ტყე მოიპოვა და სახლებს წივით ვახურებთ, უფრო კი საქონლის ორთქლით ვთბებით.

ჩვენი სახლები მიწურია. შიგ ერთ მხარეს საქონელი გვი-ბია, მეორე მხარეს კი ჩვენ ცეხოვრობთ. ჩვენს სადგომს სა-ქონლის ბული ანუ ორთქლი ათბობს, ბუხარში კი წიგა ხის. წიგას მხოლოდ შეკამადის და წყლის ასაღულებლათ ვხმარობთ. რა ვქნათ, ასე რომ არ მოვიქცეთ, მთელი ჩვენი სარჩო-საბა-დებელი მარტო საწვავში არ გვეყოფა.

ჩვენი სოფელი მტკვრის მაღალ კიდურზეა გაშენებული. ამ კიდურიდან მტკვარი ძლივას მოსხანს. სოფლიდან მტკვრამ-



დე სულ ციცაბო დაღმართია ოთხი-ხუთი ვერსი. ქვემოთ მუტკებით ამ თბილი და ამიტომაც აქ პატარ პატარა ბალები გვაქვს გა-შენებული. მტკვრის მეორე ნაპირის, ასე ერთი ვერსის მან-ძილზე სძვეს დიდებული ვარჩის მონასტერი, რომელიც პი-ტალო კლდეშია გამოთლილი. ჩვენ აქ ხშირად დავიარებით სალოცავათ. ამ მონასტრის შესახებ ბარებ ბევრ რამეს გეტ-ყოდით, მაგრამ ეხლა დრო არა მაქვს, კვლავისათვის იყოს. ეხლა კი გიამბობთ ნამდვილ ამბავს ჩვენი ფინის გმირობაზე.

ათი წლის ამბავს მოგახსენებთ.. მე ჯერ კიდევ პატარა ვიყავ და სკოლაში ახლად მიმაბარეს. ჩვენი სახლი სწორეთ სკოლის გვერდით არის გაშენებული, სოფლის განაპირის. ჩვენ პატარა ფინია გვყავდა, რომელსაც „ცუგრას“ ვეძახდით. როცა მე სკოლაში სიარული დავიწყე, ცუგრაც მომყვებოდა ხოლმე, ხშირად სკოლის დერეფანში აიტრუწებოდა და უც-დიდა გაკვეთილის გათავებას, რომ მოწაფეები კარში გამოსუ-ლიყვენ და თავისი საუზმე მისთვისაც გაეწილადებინათ. ზოგ-ჯერ ცუგრა გაკვეთილის გათავებას ველარ მოუციდა და დე-რეფანში ყეფის მორთავდა, რომ ჩვენი ცურადლება მიექცია. მასწავლებელს ეს არ ესიამოვნებოდა და რამდენჯერმე მითხრა: ეს თქვენი ფინია აქ ნუ შემოაჩივე, თორემ მეცადინეობას გვიშლისო, მაგრამ აბა მე რა შემეძლო. ბოლოს მასწავლე-ბელმა მოსამსახურეს უბრძანა, ფინია დერეფანში არ შემოუ-შვა და როცა დაინახო, გააგდე ხოლმე.

ცუგრა კარგათ მიხვდა, რომ სასწავლებელში შესვლა მისთვის აკრძალული იყო და არც ესაჭიროებოდა ეს. იგი ახლა უფრო გონივრულათ მოიქცა: როდესაც ჩვენ გაკვეთი-ლი გაგვითავდებოდა და კარში გავიდოდით, ცუგრაც მაშინ მოირჩენდა ხოლმე სკოლის ეზოში. ამხანაგებს ძალიან უყვარ-დათ, რადგნაც ცუგრა გაწვრთნილი ძალი იყო, ხან უკანა ფეხებზე ჯდებოდა, ხან მაღლა შეხტებოდა, ხან მაღლა ასრო-ლილ პურის ნაკერს პირით დაიკერდა. ლაქუციც ძან იცოდა. როცა ჩვენ დასვენება გაგვითავდებოდა და კლასში შევიდო-დით, მაშინ ცუგრა შინისკენ გასწევდა და იქ უციდა გაკვე-თილის გათავებას, რომ თავისი ლაქუცით და ოსტატობით მოწაფეებისათვის კიდევ რამე დაეცინცლა. მოწაფებს ცუგრა უყვარდათ და გულუხვათ აჯილდოვებდენ. ბოლოს ცუგრა



მასწავლებელსაც შეუყვარდა და კაი გემრიელ ლუქმებსაც შიირთმევდა ხოლმე მისგან. მაგრამ საწყალ ცუგრას მაღვ ჟველაფერი ჩაუშამდა.

იმ წელიწადს ცივი ზამთარი დაგვიდგა, დიდი თოვლი დასდო, შეუწყვეტლივ თოვდა. დატკეპნილ ბილიკს რომ გადაცდებილიყავ, თოვლში ჩაიფლობოდი. ბოლოს თოვლი დაძძიდა, დაჯდა და ჩვენ შეგვეძლო მასზე სიარული. ხოლო ცხენი კი, თუ დატკეპნილ ბილიკს გადასცდებოდა, თოვლში იფლობოდა. ასეთი ზამთარი ჩვენში ხშირია და თქვენ თუ გაგიკვირდებათ, თორემ ჩვენ, ჯავახნი, ასეთ სტუმარს შეჩვეული ვართ და კარგათაც ვიცნობთ.

ზამთრობით ჩვენს მინდვრებში შვლებიც ბლომათ დაძუნდულებენ. ზოგჯერ ეს წყველი თვით სოფელსაც მივახლოვდება ხოლმე. ჩვენს მასწავლებელს ისე ეშინოდა მგლისა, რომ დამით მარტოკა კარში ვერ გამოვიდოდა. ზოგჯერ, როცა დილით სკოლაში მივიღოდით, ეზოში მგლის ნაფეხურებს ვხედავდით. მასწავლებელსაც ბევრჯერ დაუნახავს ლამით სარკმლიდან სკოლის ეზოში მოძუნდულე მგლები.

ერთ ღამეს. როდესაც ჩვენ უკვე ვივახშეთ და ძილათ ვემზადებოდით, ძალების ყეფა ასტყდა. ჩვენი ცუგრა ამ დროს დერეფანში იყო და იმანაც ყეფა შორთო, იყეფა, იყეფა და ბოლოს კი სული გამელა. მეზობლების დიდი მურიები მაინც არა ცხრებოდენ და ერთი ალიაქოთი გაჰქონდათ. ფინია კიდევ ახმაურდა, მაგრამ ყეფის მაგივრათ წერტილი დაიწყო. ხმაზე ეტყობოდა, რომ რაღაცისა ეშინოდა.

— შვილო, ლუარსაბ, ერთი გაიხედე კარში, რა ძალის ყეფა გაიმართა, ქურდი არავინ იყოს, — უთხრა მამამ ჩემს უფროს ძმას, რომელიც უკვე ლოგინში იწვა.

ლუარსაბი ადგა, ფარაჯი წამოისხა, ჩუსტებში ფეხი წაჰყო, ჭრაქი აანთო და დერეფანში გავიდა. შეც თან გავყევი.

დერეფანში ცუგრამ რომ დაგვინახა, სიხარულით ცას დაეწია და ისეთი ყეფა დაიწყო, თითქო ვიღაცას ემუქრებაო.

ლუარსაბმა ცული იღო, ჭრაქი მე მომცა და თვითონ კი გარე კარი ვააღო. ცუგრა ჩვენ ფეხებში გვეკვროდა.

კარი გაიღო თუ არა დერეფანში ჩვენს თვალწინ ვეება შეგლი გაჩნდა. თვალებს საშინლათ აბრიალებდა, ხახა ოთხათ



დაელო, მაგრამ ახლო ვერ მოვიდა, კრაქის სინათლისა შეუძირითა
შინდა. ლუარსაბი დაიბნა, არ იცოდა რა ექნა, ერთ წამს
შედგა. მეტ შიშია ამიტანა და მთლათ გავქვავდი.

ცუგერამ დაინახა თუ არა მგელი, არც აციფა, არც აც-
ხელა და გულმოსული პირდაპირ ყელზე შეახტა მგელს. ეს
ისე უცებ მოხდა, რომ ვერც კი წარმოვიდგენდი. მგელი მა-
შინათვე გაიქცა. ლუარსაბი გამოერკვა და ცული ეროლა,
მაგრამ ვერ მოახვედრა. მგელი კი არხეინათ გაძუნძულდა და
ჩვენი მალხაზი ცუგრაც თან გაიტაცა...

როცა ლუარსაბმა კარი ისევ ჩაკეტა და შინ შემოვედით,
მე გაშინ გამოვერკვიე, მომაგონდა ჩემი ცუგრა, მისი ლაქუ-
ცი, ხტომა, თამაში და ისე გული დამწყდა, რომ ცრემლები
ველარ შევიკავე და ლრიალი მოერთო:

— ვაიმე დედა, ჩვენი ცუგრა მგელმა მოიტაცა! საწყა-
ლი ცუგრა! ეხლა ვინ იცის როგორ დაგლიჯა და როგორ
ახრამუნებს ი წყეული მგელი!..

ეს რომ ჩემმა პატარა დამ — ნუცამ გაიგო იმანაც ტირი-
ლი მორთო და ორთავენი ერთად მოვთქვამდით ცუგრას!

— რა გაღრიალებთ, თქვე ვერანებო! — შემოვიტია მა-
მამ. ხვალ თუ ვინდათ ორ მაგისთანა ძალლს მოგიყვანო.

ჩვენ შეგვერიდა და სული გავტვრინეთ, ხოლო ჩუმათ
კი ვქვითინებდით და თვალებიდან ღაპ-ღაპით ცრემლი გვდი-
ოდა.

— ნუ სტირით, ჩემო გვრიტებოჯან! — გვითხრა ალერ-
სით დედამ. — აბა რა გატირებთ. თქვენი ჭირიმც წაულია ცუგ-
რასა. აი ბესოანთ ძალლი საცაა ამ დღეებში ლეკვებს დაყრის. მიდით, აირჩიეთ რომელიც მოგეწონებათ და ის გავზარდოთ.
იქნებ ის ცუგრაზედ უკეთესიც გამოდგეს.

შემდეგ დედამ თავზე ხელი გადაგვისვა და უფრო მეტის
ალერსით გვითხრა:

— ეხლა კი დაიძინეთ, ჩემო გვრიტებოჯან, რომ ხვალ
ადრე უნდა ადგეთ. — მერე ადგა, უცეცხლით თაფლი და ფქვი-
ლი გალესა ნახევარ ჭიქა წყალში, მე მომაწოდა და მითხრა:

— აი ეს დალიე, შვილო, კარგია, შიშის წამალია!

ბოლოს, როცა ჭიქა გამოვცალე, მან შუბლზე ხელი
დამადო და მკითხა:



— ხომ არ შეგაშინა ი წყეულმა მგელვა? გენაცვალოს დედა, ცუგრაზე რა გადარდებს... ხომ არ შეგეშინდა?

— არა, არ შემშინებია, მხოლოდ ცუგრა შემცოდა.

— ცუგრამ ჭირი მოგქამოს, შვილოჯან, ნუ ინაღვლებ, ეხლა დაიძინეთ, მეც მეძინება...

დედის ტკბილმა ალექსმა ყველაფერი დაგვავიწყა — შიშიკ, დარდიც, და მალე გემრიელთ ჩაგვეძინა. განა დედის ალექსშე ტკბილი კიდევ რამე არის ქვეყანაზე?.. ადამიანი მთელს თავის სიცოცხლეში დედის ალექსშედ უტკბილესს ვერაფერს ნახავს. ასეთი ტკბილი და საყვარელია მშობელი დედა. ტყუილათ კი არ უთქვამთ: „ადამიანმა რომ დედის გულისათვის ხელის გულზე ერბო-კვერცხი მოიწვას, იმის ამაგს მაინც ვერ გადიხდის“...

დილით დედამ გამაღვიძა: — ადექი, შეილო, სკოლაში წასვლა არ დაგივინდესო. მე მაშინვე წამოვდექი, ტანთ ჩავიცვი, წიგნების ჩანთა გადავიკიდ მხარზე, ცოტა ჰყელი და პური ავიდე და სკოლისკენ გაესწიე. მომაგონდა ჩვენი ცუგრა და კიდევ დავლონდი. როცა მიველ, ამხანაგები უკვე ბლომათ შეგროვილიყვნ. მიველ თუ არა, მკითხეს:

— ვანო, ცუგრა სადღა არის?

— ცუგრა წუხელის მგელმა მოიტაცა. — ვუპასუხე მე და ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე.

— ოოო. ვაი! აფსუს, აფსუს! რა კაი ძალლი იყო...

მე კიდევ გული ამემლვრა და თვალებზე ცრემლი მომადგა.

— ნეტავ საითკენ გააქანა ი წყეულმა მგელმა?.. ამბობდა ზოგიერთი ამხანაგი.

ბოლოს ერთმა ამხანაგმა — მოსემ ასეთი წინადაღება მოგვცა:

— ბიქებო! მოდი გაკვეთილების შემდეგ წავიდეთ და ნაფეხურების კვალზე ვეძებოთ. ენახოთ, სად შექამა ი არამ-ზაღამ. სისხლის კვალიც იქნება ალბათ.

— წავიდეთ, წავიდეთ!.. — შესძახა ყველამ ერთხმათ.

ამასაბაში გაკვეთილის ღროც მოახლოვდა, ზარი დარეკეს და ჩვენ კველანი კლასში შევედით. ცუგრას უბედურობა შასწავლებელს ვუთხარით. იმასაც გული დაეწვა...



ցակարեղութեան շեմքը մոժապեցի Շին Քաջութեան սպազմութեան լոռա. ու ոյս սագունու ցավատազետ, հռամ ամենացեցի յարև մոհացցեն.

— ածա, ցանո, Քաջութեան դա Կողման կալու զեմքեցու.

Ցա մատ ցավազեցու. հզեն սական հռամ Կորատու ցավուլութեա, Սույնունու ցարեց մցլուն նայեանուրան յրտաճ տուզլիչ Տուսելունուն Քաջութեան մուսհանճա. ամ յայուն ցավազեցու. չյար մոնղուրան ցուրեց ծարեմ յար Սամուռատես զերևու. Շեմքը մուկարուն լցունուն կունցիւն մովագրեցու. կալու յեմուն հագուռա.

— ալոծաճ այ տու հայութան դա Շեյքմա, — Տույաց ծոյշեմա.

Հռուս ճալմարտու Կորատու հայուլութեա, Տուսելունուն կալմա յրտու դուզու լոռաւնուն մուրան մոցայուցան. այ յու օւստու ցասառ-պարու համ սակարացը ցնաեց, հռմելուսաւ տազուն գուղու ցեր Քարմուալցին գուղու.

Լոռաւնուն մուրան մցելու ցաւու Շմիրացատ, տալցեցի ճալու լուս. մուս տավեյշ տուզլու Տուսելունուն արուն Շեյքրուլու. Կողման մցելուն յելիչ Շեմոնցեցա, կծուլցեց յանչուրատուն մաց-ռատ հայուրեցա դա առ յաշեցեց.

Մցլուն ճանաեցեց հզեն չյար Շեցցե՛ննա դա Կորատու յականաւ ճացունուց, մացրամ Շեմքը յուրիուն ամենացեցի մոխցան, տու համուն ոյս սայմե. հզեն Շեցամինուց, հռամ մցելու Շմիրացատ ցաւու դա առու սայնույաց; ունուն յու Կորպեալու, տալցեցի ճա-շունչուրու, յաւսաւ պանցարեցեց, հզեն ճանաեցեց մանունց յուրեցի սկյուրու. ամուս ճամնաեցա ծոյշեմա Տուսելունունու Քամու-ճաեցեց:

— ծոյշուու! յրտու Շեցետ, Կողման մցելուն ճալուրհզու!.. առ յուհալ, հզեն Կողման! ո յանչուրատուն հռամ կուլցու ալար յ՛շու-ծա... ալոծաճ յելուաւ տու Կորպեալու Ֆցոնուս...

— Ծպայուլուտ յու առ Տրակեցի յելիշ, Շվուլուսան... ո Տուսելունուն կալու մցլուսա դա հզեն յու Կողման ցավացան...

ծոյշեմա կուլցու ծեցրու Տայեմուրուն Տուսելունուն ճանարչյաւ Կողման ցմուրունճանց.

— Կողման, Կողման, Կողման!.. — Եմանան ծոյշեմա.

Կողման յու յուրեցեսաւ առ օձերի յամ. ու Ցավունութեա Շե-մոնցեցա մցելուն յելիչ դա յանչուրատուն մանու առ յ՛շուեցա. ծո-լունուն մյու մոտերյաց:



— მოდი, ვანო, ე ძალლი მოშორე მაგ წყეულს, თორე თავისით არ მოშორდება, კიდევ ცოცხალი ჰერნია.

მე ეს შევასრულე. როგორ ცუგრა დარწმუნდა, რომ მას ხიფათი აღარ მოელოდა, მაშინ სიხარულით კუდი გაიქნ-გამოიქნია და ლაქუცი დაგვიწყო. ძალიან კი მისუსტებულიყო საწყალი, ცალკე სიცივისგან ძაგძაგებდა, ცალკე შიშისგან. მე ცუგრა კალთაში თბილათ გამოვახვიე და შინ გავუდექი. ამხანაგებმა კი მგელს კუდში ხელი წაავლეს და ისე წამოათრიეს სკოლის ეზოში, მასწავლებლის კარწინ.

მასწავლებელმა რომ ცუგრას ასეთი გმირობა გაიგო, გაუკვირდა. სოფელშიაც გაეგოთ ეს ამბავი და ხაოხი ბლომათ შეგროვდა სკოლის ეზოში. ზოგი რას ამბობდა, ზოგი-რას, ხოლო ყველა კი ჩვენი ცუგრას ქებაში იყო.

მგელი იქვე გაატყავეს, ხორცი ძალლებს მიუგდეს, ტყავი კი მასწავლებელმა ერთ ქალაქელს მიჰყიდა ხუთ მანეთათ, ამ ფულით ტკბილეულობა იყიდა და ყველიერში დაგვირიგა.

ცუგრა თან და თან მოსულიერდა, მოწაფეებს უფრო მეტათ შეუყვარდათ ასეთი საარაკო გმირობისათვის და უფრო უკეთესათ უმასპინძლდებოდენ...

ბაგრატ ბერინელი.



b Ø y b o s.

(၁၂၈)

三



ალიან კარგი ზაფხული დაუდგათ ბაჭიებს. რა-
ღაც უცნაური ახალი ბძანება გამოვიდა, რომ
მიმინები და ბუები დაეცოცათ. ვინც უფრო
ბევრ მიმინოს და ბუს მოკლავდა იმას საჩუქარი
ეძლეოდა. ბაჭიების მტრებს საწყალ მიმინებს
და ბუებს უმოწყალოთ ავლებდენ მუსრს და იმიტომ ბაჭიები
მრავლდებოდენ და მრავლდებოდენ. ბაჭიები მალე ისე გამ-
რავლდენ, რომ საკა იყო სულ გაანადგურებდენ იმ არე მა-
რის ნათესს და ბოსტნეულობას. მოსახლეები და თითონ ისი-
ნიც, ვინც ეს ბძანება გამოსკა ძალიან შეაწუხეს ბაჭიებში და
შეაფიქრიანეს. ახლა იმაზე მოპყვენ ფიქრს, თუ ბაჭიები რო-
გორ გაეწყვიტათ და გადასწყვიტეს ერთი დიდი ნაღირობა
გაემართათ: ყველა ბაჭიები ერთ ალაგას მოემწყვდიათ და
იქ ამოებოცათ. ამისთვის ერთი მოზრდილი ალაგი შემოლობეს
სამივე მხრიდან, მეოთხე მხარე გახსნილი იყო და იმ მხრი-
დან უნდა შეერეყათ შიგ ბაჭიები. ყველა იმ არე მარეს
მცხოვრები მოწვევულნი იყვნენ აქ სანადიროთ. უნდა ჩრდი-
ლოეთისკენ დიდ გზასთან შეკრებილიყვნენ და იქ დაეფთხოთ
ბაჭიები. ძალები არ წამოიყანეს, რომ ამათოების ხელი არ
შეეშალათ, თოფებსაც არა ხმარობდენ, ამოდენა ხალხში საშიში
იყო. სამაგიეროთ ყველა კაცს და პატარა ბიჭს ქვებით საესე
პარკი და ორ ორი გძელი ჯოხი ეჭირათ. ქალები ეტლებით
და ცხენებით მოვიდენ, ბევრ იმათვანს ხელში რამე საჩხაუ-
ნებელი ან სატყაცუნებელი ჰქონდათ ბაჭიების დასაუთხობათ,

და ამის გამო ისეთი ხმაურობა იდგა, რომ საბრილო ისეც
მხდალ ბაჭიებს სულ თავ გზა დაებნათ.

მონადირეებს შვენიერი დარი დაუდგათ. დილის რვა
საათიდან ნაღირობა დაიწყო ეტლებით და ცხენოსნებით სავ-
სე იყო გზები და საშინელი ღრიანცელი იდგა. ხალხი დიდი
და პატარა — ასე 30--35 ვერსის მანძილზე შემოტყენე
სამივე შხრიდან ბაჭიებს და დიდი ხმაურობით, და ქვების
სროლით აფთხობდენ საბრალო ბაჭიებს, ყველა ბუჩქს და ბუჩ-
ქნარს ჯოხს ურტყამდენ, თავ ჩარ დაცემული ბაჭიები გარბოდ-
გამორბოდენ და მომეტებულნი იქვე ქვებით ჩაქოლილნი მიჩნ
ეცემოდენ. ურიცაც ბაჭიებს მონადირეები თანდათან უახ-
ლოვდებოდენ და ერეკებოდენ მათ შემორაგულ ალაგს. გულ
გახეთქილები ბეკრნი გზაშივე იხოცებოდენ, იყულიტებოდენ,
ბევრს კიდე გზა და გზა მონადირეები ჰკლავდენ, მაგრამ ამათ
დაკლება არ ეტყობოდათ, პირ იქით სულ უფრო მატულობ-
დენ, თითქოს ერთი დიდი ზღვა ბაჭიებისა მოექანებათ. რო-
დესაც ეს აზღავებული ბაჭიები შემორაგულ ალაგს მიუახ-
ლოვდენ, მაშინ ხომ დედა-მიწა სულ აღარ სჩანდა, ბაჭიები
ისე შექუჩდენ, რომ სულ ერთმანეთს ახტებოდენ, აქეთ იქით
ეცემოდენ, გაქცევას ან სადმე დამალვას ცდილობდენ, მაგ-
რამ ვინ გაუშვებდათ! უფულო მონადირეების რკალი თან და
თან ვიწროვდებოდა, მეტი გზა არ იყო ყველა ბაჭიები უნდა
შემორაგულში შეცვინალიყვენ, და ასეც მოხდა. შემორა-
გულში ჩამწკრივებული იყო ხუთასი პატარა გალია, თითო
გალიაში თითო ბაჭია ჩაეტეოდა. რასაკვირველია უფრო მარ-
დი და ყოჩაღი ბაჭიები პირველები შევარდენ შემორაგულში,
ვინც უფრო სულელი და გამოუცდელი იყო აქეთ იქით დაი-
წყეს სირბილი, ჰკვიანები კი მაშინვე გალიებს ეცენ და შიგ
დაიმალენ. ჩევნმა ხტუნია ბაჭიამ ყველას აჯობა, ის პირველი
შევარდა შემორაგულში და პირველი დაიმალა გალიაში. ერთ
წამს ყველა ხუთასი გალია გაივსო ბაჭიებით. მაგრამ ვაი იმათ
ბრალი, ვინც ამ გალიებში არ შეძვრა. ყველას ამათ სიკვდილი
მოელოდა და ყველანიც მაშინვე უმოწყალოთ ამოხოცეს. ის
ხუთასი ბაჭია კი იმ ღამესვე რკინის გზით დიდ ქალაქში გაგ-
ზავნეს, სადაც უნდა გაეწროვთან ძალლებთან შესაჯიბრებლათ.

IV

ბაჭიები დიდ ქალაქში მიიყვანეს. ამ ქალაქის განაპირას იყო ამათხესის მომზადებული ბინა. ამ ბინას შესაფარს ეძახდენ. ბაჭიებს ფრთხილათ და სათუთად ეკიდებოდენ. შესაფარი დიდი რგვლათ შემოლობილი აღაგი იყო, შემოლობილში მრავალი პატარა კარები ჰქონდა გაკეთებული. ბაჭიები ძალიან კარგათ გრძნობდენ თავს შესაფარში, რაღაც აქ აღაგიც ბევრი ჰქონდათ და საჭმელიც.

მეორე დღესვე დაიწყეს ბაჭიების გაწვრთნა: ღობეში გაკეთებული კარებები ერთბაშათ გააღეს, ბაჭიებიც მაშინვე გავარდენ კარებიდან. კარებები მეორე შემორაგულში გადიოდა და ეს შემორაგული უფრო მოზრდილი იყო. როგორც კი ბაჭიები გასცდენ კარებს, უცბათ მათ იქიდან ბიჭები მიგარდენ და ერთი ყვირილ — კიუინით ისევ შესაფარში შელალეს. რამდენიმე დღეს ასე წვრთნიდენ ბაჭიებს, სანამ ყველა ბაჭია არ მიხვდა, რომ როდესაც რამე საფთხე მოელოდათ, მაშინვე რომელიმე კარებით შესაფარში უნდა შევარდნილიყვენ.

ახლა მეორე გაცვეთილი დაიწყო. შესაფარიდან ბაჭიები დიდ შემორაგულში გამორეკეს, საღაც ბაჭიებისა და ძალების დაჯიბრება უნდა მომხდარიყო. აქაც სუკველა მხრიდან ბაჭიებს ძალები და ბიჭები მოედენ. შეშინებული ბაჭიები გამორბოდენ და ყველაზე წინ კი ჩენი ხტუნია ბაჭია მოჰქოდა.

— უყურეთ ერთი აი იმ მოწინავეს, როგორ მორბის კაი მოჯირითე ცხენივით! სთქვა ერთმა ირლანდიელმა მეჯინიბემ.

ბაჭიებმა ჯერ თითქოს არ იცოდენ სად გაპქცეოდენ მდევრებს, მაგრამ მერე შესაფარი მოაგონდათ და ყველა შესაფარისკენ გაექანა. თითქო თეთრი ლრუბელი მიექანებაო. ერთი კვირა ასე წვრთნიდენ ბაჭიებს. ეხლა ბაჭიებმა კარგათ იცოდენ, რომ შესაფარში იყო იმათი ხსნა.

ძალე საჯარო შეჯიბრებაც უნდა მომხდარიყო.

ბაჭიების მომვლელნიც და ძალების პატრონებიც რო-

მელთაც მოეყვანათ თავიანთი ძალები შესაჯიბრებლათ კარგი კარგი იცნობდენ „ხტუნია“ ბაჭიას. გრელ ყურა ჯოგიც თავის წინამძღვანლათ სთვლიდა ხტუნიას, რადგან ის მუდამ წინ მოუძღვადა ხოლმე მათ.

როდესაც ამათ შეჯიბრებაზე ძალებთან დაიწყებდენ ხოლმე ლაპარაკს, „ხტუნია“ ბაჭიას ბევრი მომხრე ჰყავდა.

— ნეტავი ამ შეჯიბრებაში მიიღებს მონაწილეობას ჩვენი დიგნების მწევარი?

— რომ მიიღოს კიდეც, მაინც „ხტუნიას“ ვერავინ აჯობებს.

— მე კი ვამბობ, რომ ჩემი ბებერი ჯენი აჯობებს თქვენ „ხტუნიას“. ბუზლუნით ამბობდა ერთი მწევრების შემნახვი.

— მე კიდევ მთელ ჩემი ერთი თვის ჯამაგირზე გენა-ლევებით, რომ ვერც ერთი ძალი ვერ აჯობებს ხტუნიას. თქვა ბაჭიების მომვლელმა.

ხშირათ ეჯიბრებოდენ ხოლმე ესენი ერთმანეთს, მაგრამ თან და თან „ხტუნიას“ მომხრეები ემატებოდენ.

V

შეჯიბრების პირველ დღეს მშვენიერი დარი დადგა. დიდ შემორაგულ მოედნის გარშემო მაყურებელი ხალხისთვის იყო გამართული ადგილები. ძალიან ბევრი მაყურებელი მოვიდა, მომეტებული რასაკვირველია ამისთანა გასართობების მოყვარულნი იყვენ. ყველგან მოსხანდენ მწევრები, რომლებსაც შეჯიბრებაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. თითო მწევ-რის შემნახველს ორი მწევარი ჰყავდათ ჯაჭვზე დაბმული. მწევრებს გადაფარებული პქნდათ ჩული ისე, რომ მათ უჩან-დათ მარტო ძარღვიანი ფეხები, გძელი კისრები და პატარა ყვითელი თავები წინ გამოწეული ყბებით. მათი შემნახველები ისე უფრთხილდებოდენ და ყურს უგდებდენ, როგორც პა-ტარა ბავშებს. სულ თვალ-ყურს ადენებდენ მათ, რომ ირა შეექამათ რა, არაფრისთვის არ ესუნათ და ახლოს უცხო არ მოჰკარებოდათ. ხომ ბევრნი იყვენ დანაძლევებული. მწევრების და ბაჭიების გამარჯვებაზე და რასაკვირველია ბა-



ჭიების მომხრეები ცდილობდენ რამე ვნება მოეტანათ მწევრებისთვის, რომ იმათ ვერ ეჯობნათ ბაჭიებისთვის. ხშირაო მოხდებოდა ხოლმე, რომ ბაჭიების მომხრეები ჩუმათ გადუგდებდენ ხოლმე მწევრებს ხორცის ნაკერს ისეთი საწამლივით, ან რამით შეზავებულს, რომელიც აფუჭებდა, ავნებდა მწევარს, ის ვეღარ შესძლებდა მარდ სირბილს, ძალა ლის მომვლეებსაც ამის ეშინოდათ და იმიტომ უფთხილდებოდენ ასე თავის მწევრებს.

თითო ბაჭიაზე ორ მწევარს უშვებდენ. ჯერ ბაჭიას გამოუშვებდენ იმ მოედანზე, სადაც შეჯიბრება უნდა მომხდარიყო. გამოსასვლელში იდგა ცალკე მიჩენილი კაცი. როგორც კი დაინახავდა, რომ ბაჭია გამოვარდა მოედანზე, ის მაშინვე აუშვებდა ორ მწევარს. ბაჭიას და მწევარს უკან მისდევდა ცხენით მთლიათ წითელში ჩაცმული კაცი, რომელიც თვალ ყურს ადევნებდა შეჯიბრებულებს. ბაჭია მაშინვე მოედნის ირგვლივ შესაფარისკენ გარბოდა და მწევრებიც გამოუდგებოდენ მათ. როდესაც მწევარი მოეწევა ბაჭიას, ბაჭია მაშინ იცვლის გზას და თითო ბაჭიის გზის შეცვლა მწევარს გამარჯვების ნიშნათ ეთვლება. სრულიათ კი მწევარი მაშინ იმარჯვებს, როდესაც გაგლეჯავს ბაჭიას.

ხან და ხან მწევარი მაშინვე მოეწევა ბაჭიას და იქვე გაგლეჯავს მას, მაგრამ ეს იშეიათათ ხდება. უფრო ხშირათ მწევარი ნახევარ გზაზე მოეწევა ბაჭიას, იშეიათათ ხდება, რომ ბაჭია შესაფარამდის მიეიდეს და მწევარი ვერ დაეწიოს მას. შეჯიბრების დროს სხვა და სხვა შემთხვევაა ხოლმე: ძალლი მალე მიეწევა ბაჭიას; ბაჭიამაც შესაძლოა მალე მიირბინოს შესაფარამდის; ძალლები საზოგადოთ მალე იღლებიან და მათ მაგივრათ სხვა ძალლებს მიუსევენ; ბაჭია შესაძლოა გზის არევითაც შესაფარამდის ვერ მიაღწიოს, მაშინ ბაჭიას ტყვიით ჰკლავენ.

შეჯიბრების დროს ძალიან გავრცელებულია მოტყუება და ხრიკები, ამიტომ ცდილობენ, რომ წესისთვის მიჩენილი კაცები მსაჯულებივივა ძალიან პატიოსნები იყვენ, რომ იმათი დაქრთამვა არ შეიძლებოდეს.

ერთ შეჯიბრების დროს წესისთვის მიჩენილ კაცთან, მიკისთან ვიღაც მივიდა და ციგარა უთავაზა. ყველამ დაინახა, რომ ამ

კაცს ციგარა უთავაზეს, მაგრამ ის კი ვერ შეამჩნიეს, ბოლო ციგარა ლურჯ ქალალდში იყო გახვეული და რომ მიკიმ მოხსნა ის ქალალდი და ისე მოსწია ციგარა. კაცმა უთხრა:

— თუ ხვალ წესისთვის შენ იქნება დაყენებული და ისე მოხდება, რომ ბებერი დიგნებას მწევარი ვერ დაეწევა ბაჭიას, მაშინ მეორე ციგარას მოგარომევ.

— თუ მე ხვალ ვიქნები დარაჯათ ისე მოგახერხებ, რომ სხვა მწევარიც ვერ დაეწევა ბაჭიას, უპასუხა დარაჯამა მიკიმ.

— ეგ უფრო კარგი, მაშ ორ ციგარას მოგარომევთ ერთის მაგიერ.

საზოგადოთ წესიერების დამცველი ძალიან კარგი და პატიოსანი კაცი იყო, მაგრამ ხან და ხან მის მაგიერათ მიკის ხადყენებდენ ხოლმე.

ბაჭიები ძალიან გვანან ერთმანეთს და აბა ვინ შეამჩნევდა რომ მიკი არჩევით გამოუშვებდა ბაჭიას. მართალია მიკი ქრთამს იღებდა, მაგრამ ისე ახერხებდა საქმეს, რომ არც ძალლს ავნებდა რამეს და არც ბაჭიას. ორმოცდა ათი ბაჭია პილეც იყო გამოშვებული და მოკლული, მიკი საზოგადოთ კარგა ასრულებდა თავის საქმეს.

ერთი უკანასკნელი შეჯიბრება კიდევ უნდა მომხდარია იყო. ძალიან დიდი სანაძლეო იყო დადებული იმ ძალლებზე, რომლებიც მონაწილეობას იღებდენ ამ შეჯიბრებაზე.

V I

მარდი, მოხდენილი მწევრები უცდიდენ თავიანთ რიგს. ზედამხედველი მიკი ისე კარგათ იქცეოდა იქმდის, რომ არა-ვის ეჭვი არ შეეპარებოდა მის პატიოსნობაშა. მიკის ხელთ იყო რომელი ბაჭიაც უნდოდა იმას ამოარჩევდა.

— გამოუშვით მესამე ნომერი დაუყვირა მან თავის თანაშემწეს, ამ დროს გამოსტა ჩვენი „ხტუნია“ ბაჭია, მან ვა კვირვებით და შიშით შეხედა იმოდენა ხალხს და გაოცებით მაღლა შეხტა.

— ხრრრ! დაიყვირა მიკიმ, იმისმა თანაშემწემ კი ჯონით დააბრახუნა ფიცარზე.

ବ୍ରଜନୀବ ଶୁଣି ମାଲିଲା ଦା ମାଲିଲା ବ୍ରଜନୀବ ଗୁପ୍ତିଆ, ମିଳିଥ
ଦାଗୁବାନ୍ତିବୀତ ଅଶ୍ଵା ମିଶ୍ରବ୍ରଜେବୀ.

ରା ମିଶ୍ରବ୍ରଜେବୀ ମିଶ୍ରବ୍ରଜେବୀ ପ୍ରିୟେବ, ରା ମାରଦାତ ଗାରଦିଲ୍ଲେବ!
ମାଗରାମ ବ୍ରଜନୀବ କିମ୍ବିଶାଯିତ ମିଟରିନିବ୍ୟାଦା ଶ୍ରେଷ୍ଠାରୀନୀବ୍ୟାକ୍ରେନ, ଏବଂ
ନାନ୍ଦେବାରୀ ଗଢାପ ଗାଇରା, ମାଗରାମ ମିଶ୍ରବ୍ରଜେବୀ ଜୟର ଦାସ୍ତିବ୍ୟନ୍ ବ୍ରଜନୀବ
ନୀବ, ଏବଂ ଦାକ୍ଷିମ ଶ୍ରେଷ୍ଠାରୀ ମିଳିତାନା କିଲେପ ଦା ଗାନ୍ଧରା କାର୍ଯ୍ୟବ୍ୟତୀ,
ଦାରିକିବ ମିଶ୍ରବ୍ରଜେବୀ ବାବା ମିଶ୍ରବ୍ରଜେବୀ. ବାଲକ ତ୍ରାଣି ଉପରାଗଦା ତାତାରା
ବ୍ରଜନୀବ ବାକ୍ଷିବ ଦା ଲାକ୍ରିନିଲା ମିଶ୍ରବ୍ରଜେବୀ. ଦକ୍ଷେତ, ମିଳି. ରାଗମର
ପ୍ରିନିଲାଦା! ମିଶ୍ରବ୍ରଜେବୀରୀ ତାତରିନିବ୍ୟାନି କି ରାଗମର ଜୟରିଲାଦା! ମେଳିଲ
ଦଲେ ପ୍ରିୟେଲା ଗାନ୍ଧେତେବ୍ୟତୀ ଦାନ୍ତିରିଲା ପ୍ରିୟେ ବ୍ରଜନୀବ ଗମାରିଜ୍ଞବ୍ୟାନ୍ତେ:
”ଶାକ୍ରିରିଜ୍ଞବ୍ୟାଲା ଗମାରିଜ୍ଞବ୍ୟାଦା ବ୍ରଜନୀବ ବାକ୍ଷିବୀ, ଗୁମିନ ଶ୍ରେଷ୍ଠିବ୍ରଜେବୀର
ଦରିବ ତାତାରା ବ୍ରଜନୀବ ବାକ୍ଷିବୀ ଅଜ୍ଞବ ପ୍ରିୟେଲା ପ୍ରିୟେଲା ଗମାରିନିଲ
ମିଶ୍ରବ୍ରଜେବୀରୀ“.

ମିଳି କେଲ ବେଳାତ ଶ୍ରେଷ୍ଠା ମି କାହିଁ:

— ମିଳି, ଗିନିଦା ପ୍ରିୟାରା!

— ରାତିମାତ୍ର ଏହା! ତକ୍ଷେବୀ ପ୍ରିୟାରେବୀ ଲୋକ ମନମିଳିବ, ରାମ
ତୁ ଶ୍ରେଷ୍ଠିଲ୍ଲେବୀ ଏହି ମିଳିଲେବୀ! — ଗମାରିଲାଦତ, ଗମାରିଲାଦତ.

VII

ଏହିଲେ ଶ୍ରେମଦ୍ଦେଵ ମିଳି ଅମାଯନିଲାଦା ବେଳମ୍ବେ ତାଙ୍କିଲି ବ୍ରଜନୀବ ବା-
କ୍ଷିତିତ. ମିଳି ଲୋକ ବାକ୍ଷିବୀର ମନମିଳିଲାତ ପ୍ରିୟ ଦାୟିନ୍ଦ୍ରିଯିଭୂଲି ଦା
ଦାଲିବାନାତ୍ର କମାଯନିଲାଦା ପ୍ରିୟ, ରାଗମର ବ୍ରଜନୀବ ତାନ ଦା ତାନ
ତାଙ୍କ ନିର୍ବିନିଦା ଦା ମନମିଳିଲାଦା ମିଶ୍ରବ୍ରଜେବ୍ୟତୀ. ଦେବରୀ ବାକ୍ଷିବୀ ଗାନ୍ଧୁର-
ହୀଦିଲ୍ଲେବୀ ବେଳମ୍ବେ ମିଶ୍ରବ୍ରଜେବୀ, ମାଗରାମ ଲୋକି ଅନ ପ୍ରତିବାଦ ଗଢାବ
ଦେବିବେଶିଲ୍ଲେବୀ ଅନ ବ୍ରଜନୀବ କମାରିନିଲାଦା, ବ୍ରଜନୀବ କି ତିରିତାବିନ ଲୋ-
କିବିତ ଗାରଦିଲା ଶ୍ରେଷ୍ଠାରୀନୀକ୍ରେନ, ଏହାତ୍ର ଏହିତେଲ ଏହି ମିଶ୍ରବ୍ରଜେବୀ-ମନ୍ଦୁ-
ଶ୍ରେଷ୍ଠା ପ୍ରିୟେବୀ. ଏହି ଶ୍ରେଷ୍ଠିବ୍ରଜେବୀ କ୍ଷେତ୍ରିଶି ଏହିଜ୍ଞେଲ ମିଳିତିବ୍ରଜନୀବ ଦା ତା-
ତା ଶ୍ରେଷ୍ଠିବ୍ରଜେବୀବ୍ୟତୀ 30—40 ବାକ୍ଷିବ ଲୋକିଲେବୀଦା.

ବ୍ରଜନୀବ ପ୍ରିୟେଲା ଶ୍ରେଷ୍ଠିବ୍ରଜେବୀବ୍ୟତୀ ଲୋକିଲେବୀଦା ମନନାଶ୍ଚିଲ୍ଲେବୀଦାର
ପ୍ରିୟେଲାଦା ମନନାଶ୍ଚିଲ୍ଲେବୀଦା. ମିଳି ଅଲ୍ଲାଚ୍ଚିପ୍ରିୟେବୀବ୍ୟତୀ ମନଦିଲାଦା ଦା ଅନ-
ଦିଲାଦା: “ପ୍ରିୟେଲା ମିଶ୍ରବ୍ରଜେବୀ ପ୍ରିୟେଲା ଅମାଯନିଲାଦା, ରାମ ମାତ୍ର ଆସିଲା ଶ୍ରେ-
ଶାନିଶନାକ୍ଷି ବାକ୍ଷିବ ଶଜାନିଲାଦାକ୍ଷି”. ବ୍ରଜନୀବ କ୍ଷେତ୍ରିଶି ପ୍ରିୟ ଗାନ୍ଧିମାରିଜ୍ଞା,
ଏହିଲା ପ୍ରିୟେଲା ପ୍ରିୟେଲା ବ୍ରଜନୀବ ବାକ୍ଷିବ ଦା ପ୍ରିୟେଲାଦା ପ୍ରିୟ-
ଶ୍ରେଷ୍ଠି ଏହା ମିଳି ଶାକ୍ରିଲା. ଗାନ୍ଧେତେବ୍ୟତୀ ପ୍ରିୟେଲା ଗମାରିଜ୍ଞବ୍ୟାଦାର
ମନତାଙ୍କିଶ୍ଚିଲ୍ଲେବୀଦା ପ୍ରିୟେଲା ମିଳି ଶ୍ରେଷ୍ଠାତି ବେଳମ୍ବେ ଦା ଶ୍ରେମଦ୍ଦେଵି



„პატარა ხტუნია ბაჭიამ კიდე გაიმარჯვა, ეს იმის ნიშანია მუზეუმითია რომ ძალების ჯიში თან და თან უეარგისდება.

— ღმერთს გეფიცები, რომ ლირისია გავანთავისუფლოთ ჩვენი ხტუნია, უთუოთ უნდა გავანთავისუფლოთ, ეუბნებოდა მიკი თავის უფროსს.

— კარგი, მიკი, უთხრა უფროსმა, თუ შენი ბაჭია ცა- მეტჯერ გაიმარჯვებს, მაშინ ნებას მოგცემ წაიყვანო ის თა- ვის სამშობლოში და იქ გაანთავისუფლო.

— მაღლობელი ვარ, ბატონო უფროსო, მაგრამ არ შეიძლება ცამეტის მაგიტათ ათის შემდეგ?

— არა, არა, მე მინდა რომ ხტუნიამ იმ საუკეთესო — მეძებარსაც აჯობოს ეხლა რომ უნდა მოიყვანონ.

— მაშ გახსოვდეთ, ბატონო, პირობას არ გადახვიდეთ. ცამეტი გამარჯვების შემდეგ ხტუნია უნდა გავანთავისუფლოთ,

მალე კიდევ მოიყვანეს ახალი ბაჭიები და ერთი მათგანი ძალიანა ჰეგვდა ხტუნიას. მართალია ეს ბაჭია ისე მარდათ არ დარბოლა, როგორც ჩვენი ხტუნია, მაგრამ მიკიმ გადასწყვიტა რამე ნიშანი დაედო ხტუნიასთვის, რომ არ შესცვლოდა; მა- ხათით საწყალ ხტუნიას ყური გაუხერიტა.

„სჯობია ყოველ გამარჯვებაზე თითო ნახვრეტი გაუკე- თო ხოლმე“ გაიფიქრა მიკიმ და კიდევ ხუთი ნახვრეტი მიუ- მატა ხტუნიას ყურს.

— იცოდე, ხტუნია, როცა შენ ცამეტი ნახვრეტი გექ- ნება ყურზე მაშინ გავანთავისუფლებ.

ერთი კვირის შემდეგ ხტუნიაშ ახლათ გაიმარჯვა მწევ- რებზე და ხტუნიას ალაგი ალარ ჰქონდა ნახვრეტისათვის მარ- ჯვენა ყურზე, ისე რომ ახალი ნახვრეტი მარცხენა ყურზე გაუკეთეს. კიდევ ერთი კვირის შემდეგ კი ხტუნიას ცამეტი ნახვრეტი ჰქონდა ექვსი მარცხენაზე და შეიდი მარჯვენაზე.

გაზეობშიაც ბევრი ქება დიდება ეწერა ბაჭიაზე.

მაგრამ ყველაზე ძალიან მიკის უხაროდა

— ეხლა შენ თავისუფალი ხარ, ჩემი ხტუნია! ეუბნებო- და მიკი. ცამეტი ბედნიერი რიცხვია და შენც ბედნიერება მოგიტანა.

იმ დღესვე მიკიმ ჩასვა ყუთში ბაჭია. ჩაჯდა მატარებელში და იმ ალაგამდის მივიდა, საღაც ბაჭიას სამშობლო ეგულებოდა,



ରହନ୍ତିରେ ମିଳିବିଲୁ କାରାଗା ମନଶ୍ଵରେ ଦିଲ ଗାଇରା ଫେରିଲ, ଶ୍ରେଷ୍ଠ ଜ୍ଞାନୀଙ୍କରେ
ଲା ଗମନାଲାଙ୍କ ଗାଲିବିଲୁ କାରାବିଲ. ବାଜିବା ଗମନାକରିଲା ଗାଲିବିଲାକ ଲା.
ଯରିତ ପାଇଁ ଗାଉଥେଲାବାଟ ଅତ୍ୟାଲୋହିରେ ଦିଲ ଏହି ମାର୍ଗସ. ମେରିବେ ଯରିତି
ମରି ନାକ୍ତରମି ଗାଇକ୍ରତା ଲା ମାଲିଲା ଏକତ୍ରା, ରହି ଦ୍ୱାରତାଲୋହିରେ
ଦିଲା ଏଫଗିଲିଲ. ଶୁଭ୍ରାତ ପ୍ରେତିରା ତାଙ୍କିଲେ ଗାହବରୁରେ ଦିଲିଲ ପୁରୁଷିବି,
ଗାବେଦ୍ୟଲାତ ଗାହାକତ୍ରା କିଲା ତାଙ୍କିଲେ ସାତଶବ୍ଦିମ ମିଳନର୍ଥେ ଲା
ଫିନାନ୍ଦେବେଦିରାତ ମାରିଲାତ ଗାହିରା.

ଏହିଲ ଶ୍ରେଷ୍ଠରେ ବିଶିରାତ ଶ୍ରେଷ୍ଠରେ ବିଶିରମ୍ଭ ଶ୍ରେଷ୍ଠରେ କାଶକାଲିଲ.
ମିଳାମନ୍ତରେ ଶିଖିଲ. ବିଶିରାତ ନାରାତିରମନ୍ତରେ ବିଶିରମ୍ଭ ଦାଖିଯେଥିଲେ, ମାତ୍ରାମ,
ଶ୍ରେଷ୍ଠରେ ଏହି ପରିଷ୍ଠିତି ଏହି ହିଂସାକରନରେ ଥୁବୁଥେ, ରାତରି ଏହି
ଯରିତ ଦାଖିଯାଇଲ ଦାଖିଲା ଏହି ଶବ୍ଦାଶ୍ଵର ଗାହବରୁରେ ଦିଲିଲ ପୁରୁଷିବି, ରହି
ଗଲାକିପ ଦାଖିଲା ହିଂସା ଶବ୍ଦରୁନିବ ଦାଖିଲା.

ପୁରୁଷିବି.

(ତାଙ୍କିଲେ).



მისამართის მოწერა 1916 წლისათვის.
უკუღელის სამინისტრო და საფინანსო მინისტრის
სახელის მიერ განცხადების შესახებ

სახელის მიერ განცხადები

გამოქა იმავე პროცესით, როგორც 1915 წელს გამოდით. გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ დირს 9 მან. 50 კ., საზღვაო-გარედ 15 მ. ნახევარი წლით ტფილისში 5 მან. საზღვაო-გარედ 8 მ. ერთი თვით ტფილისში 90 კ., საზღვაო გარედ 1 მან. 50 კაპ. მაღაპე ნომერი უკუღელის ერთი მატრიცა, დამატებიანი ნომერი (კვი-რის) 7 კაპეკი.

წლიური ხელის მომწერნი, ოობლებიც 1 აფრიკაშიც სრულდე გადაიხთიან წლიურ ფასს, მიღებენ ბრემიას ორიგინალურ თხზულების თანამედროვე ხოციალურ-პოლიტიკურ და

ეროვნულ მდგრადირების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო ფუნქციას“ კანტორაში, სახახლის ქ. საჩაუგიშვილის სახლით და წერა-კითხ. სახოვალების წიგნის მატრიცაში ფოსტის აღრესი: თიფლის, ევ. გა. „САХАЛХО ПУРЦЕЛИ“
posta

posta

მისამართის მოწერა 1916 წ.

უკუგელ-დღიური სალიტერატურო, საექონომიკო და სამოლიტიკო გაზეთი

„საქართველო“

უპრემიონდ—უკუგელ-ქვირეულ სურათებიან დაძატებით დირს 8 მან. 50 კ. პრემიით განცხო წლიურ ხელის მომწერთათვის დირს 10 მან. ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანება.

პრემიები: 1) სალიტერატურო კრებული „მერანი“, გამოვა სამ თვეში ერთხელ დასურათებული. 2) „საქართველოს“ პიბლიოთეკა „ჩუენი მრწამისი“, წიგნაკებათ. 3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუქა.

ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის გან-ტორა ქ. ტფილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილის № 4. ფოს-ტის ჯუთი 76. (თიფლის მოსკოვის ქ. დომ გაბაშვილის № 4. პოტამი იაშიკ № 76). და წერა-კითხვის სახოვალებაში.

ჯერილი

საქართველო ნახატებიანი ჟურნალი
ოცდა გაზვიდე ცელიცადი.

თებერვალი დაარსებულია 1890 წელს.

გამოვა 1916 წ. თბილი ერთეულ, ექიმის არი
განეოფიციელდა, მაცროვანს და მიაწირდოთვის.
შურილი «ჯერილი» თბილისში გლირება
ა მან., ქლევ პრეზ (პაგ საჭირო) 5 მან.

ნახევარი წლით 3 მან., ცილკე ნომერი 40 კა.
ხელის მოწერა მიიღება: თბილისში — «ჯერილის» რედაქციაში,
(არტილერიის ქუჩა, № 5.)

ფოსტის აღრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго лѣтскаго
журнала „Джеджили“

რედაქციაში იუიდება მალიანი იათათ

ქველი ცლის ნომრები